


საქართველი

საორტული გაზეთი

შაბათი 13 სექტემბერი 2003 №173 (1944)

ფასი 50 თეთრი

ივო უუზაკი:
საქართველოს
ფეხბურთის
ფედერაციას
სტრატეგია
არც ჰქონია
და არც აქვს



ივო უუზაკი

ნახრებიდან ისა ნავალი,
მერაბ ჟორდანიას
ჩემთვის ოფიციალურად
მადლობა არ გადაუხდია

გიო ახვლედიანის

სვეტი

აი, ამას ვეყვები და ვფიქრობ: ოდესმე, რომელიმე ახალი დროის ქართველ მობურთაღს თუ დაანახვებს დედა პატარა გოგოს ქუჩაში და ეტყვის, აი, შეილო, ესა და ეს კაცი, ნერვების მოშლის მეტი

რომ არაფერი უქნია ჩვენთვის ამდენ წელიწადს.
ჩვენ კი ვდგავართ და მოწინებით ვუყურებთ იმას, ვის შეყვარებასაც დიდი მონდომებით ვცდილობთ ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში, მაგრამ ვერ ვახერხებთ იმიტომ, რომ მათ ჩვენ ცარიელი ადგილი, ღატაკთა ბრბო და ძელების მხვრელი არსებები ვგონივართ. მათ ჩვენ არ ვუყვარვართ. სამწუხაროდ, მათ არც ფეხბურთი უყვართ და ღირსებასაც ქუჩაში დაგდებული გროშით უყურებენ.

საქართველო ავსტრალიაში ხლოდ სორელის 30



ბადრი კატილაძის ფოტო


გუშინ, ჩვენი ნაშუალამევეს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ბევრი ფიქრის შემდეგ სამსოფლიოსთასო 30-კაციანი საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. სორელის საავსტრალიო სიაში სამი ახალბედაა: თბილისის „უნივერსიტეტის“ მორკინალი გიორგი წიკლაური, ბათუმის „დათუბის“ უნივერსალი უკანახა ზელი გოჩა ხონელიძე და კრასნოიარსკის „სიბტიკაჟმა შის“ მორკინალი მიხეილ სუჯაშვილი.

თთვის კარგად ნაცნობ გრანდ მოტეს სპორტულ ბაზაზე შეიკრიბებიან. ბორჯღალოსნები ავსტრალიაში მონპელიე-პარიზი-სიდნეის რეისით 30 სექტემბერს გაფრინდებიან. თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ინგლისთან და სამხრეთ აფრიკასთან ვერ ითამაშებს ჩვენების კაპიტანი ილია ზედგინიძე, რომელსაც „იტალიასთან ტესტისას გატეხილი შუბლის ძვლის ადგილას პლატინას ჩაუსვამენ. ბორჯღალოსანთა უკანახა ზელეს ვასილ კაცაძეს და ირაკლი გუნდიშვილს ფეხის კუნთი აქვთ დაწყვეტილი, მაგრამ ათ დღეში მწყობრში ჩადგებიან.

მსოფლიოს თასამდე ჩვენები ორი კვირით მონპელიეს მახლობლად, მა-

სორელის საავსტრალიო ოცდაათეული

შარკინაბა: ავთო კოპალიანი, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, სოსო ნიკოლაენკო, ალექო მარგველაშვილი, დავით დადუნაშვილი, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებუიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გიორგი ნიკლაური, გიორგი ჩხაიძე, ილია ზედგინიძე, გრეგუარ იაშვილი, დავით ბოლლაშვილი, გია ლაბაძე, მიხეილ სუჯაშვილი
უკანა ხაზი: ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, არჩილ ქავთარაშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გოჩა ხონელიძე, ირაკლი მაჩხანელი



REUTERS ოსაკადან

იგებდა, იგებდა, იგებდა და... ნააბო ზურაბ ზვიადაური ისაპ მსოფლიოს პიცა-ჩემპიონია

შოთა ხაბარელი: ისეთი
ბრძნობაა, თითქოს ოქრო
ჯიბიდან ამოგვაცალას


იხილეთ მეტა. თხმეტე გვერდი

ევროშესარჩევის ერთკვირიანმა სანაკრებო სპრინტმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ცამეტი დღით დაასვენა.


რგად დაინახა, ამიერიდან კი (მომავალ ზაფხულამდე) ოდენ საშინაო ბურთობით მოგვინევს დაკმაყოფილება.

მოკლედ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მეთხუთმეტე ეროვნული ნინასამეშვიდო ტურის ამბებზე ვთქვათ

მოტივი დინამოსთვის: ოუ, ჯონი



ოთარ გაბუნია



ჯონი ჯანელიძე

ამბობენ, შეიღანი ბენიერი ცოფრიაო, თუმც რამდენად ბენიერი იქნება ის სამი „ახალი“ კაცისთვის დღეს-ხვალ გამოჩნდება.

და კიდევ სამივეს ურთულესი გამოცდა ელის „მცხეთა“ აფორილ გორის „დილას“ დაუხვდება „არმაზზე“.

ლიც მეექვსე ტურში მსაჯის შეურაცხყოფისთვის იხდის სასჯელს აქვე ვთქვათ, რომ „დილას“ სტუმრად მოგება ჯერაც არ ღირსება.

ზასიათმოკეთებული მეტოქე ესტუმრება დღეს მწვრთნელმეცველი „სიონსაც“. ოთარ გაბუნიას „სიონი“ უეჭველად მოსაგებად იომებს „ბათუმთან“.

საქართველოს 15 ნაკრები 7 ტურში

თბილისი 13 სექტემბერი 17 საათი. შიპარდოვი

შიპარდოვი: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. მიგოცი (სამტრედიო); ო. სედიძე

თბილისი 13 სექტემბერი 19 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი: დ. ხანია; ა. ხაზარაძე (ორივე სოხუმი); გ. ცირაძე (გულრიფშა);

თბილისი 13 სექტემბერი 17 საათი. გინტარდოვი

გინტარდოვი: ა. მუშვიტი; ზ. მუნთაშვილი (ორივე თბილისი); ზ. სუციანი (დმანისი);

თბილისი 13 სექტემბერი 17 საათი. ბათუმი

ბათუმი: ა. ორდინი (ონი); მ. ელივაშვილი (თბილისი); ი. აფთიაური (დუშეთი);

თბილისი 13 სექტემბერი 17 საათი. დილა

დილა: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი);

თბილისი 14 სექტემბერი 17 საათი. დინამო

დინამო: ლ. ფანიშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედიო); კ. გაბრიძე (ქუთაისი);

Table with 12 columns: #, გუნდები, თ, მ, უ, წ, ბ, ს, მ, თ, მ, უ, წ, ბ, ს, მ, თ, მ, უ, წ, ბ, ს, მ. Rows include Dinamo, Shikardovi, Lokomotivi, Batumi, Dilaa, and Dinamo.

ფახზურთი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი პირველი ლიგა 14 სექტემბერი მახუთა ტური აგერი - ლოკომოტივი 2 თბილისი სამტრედიო


ყურადღება! შპს აგერის საფახზურთო სპორტულ დაიფყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან),

„სიონს“ დავით ბაქრაძე და ავთანდილ ლაბაძე დააკლდებიან. ორივე დისკვალიფიცირებულია.

საინტერესო ვახი იქნება კვირას „შეგარდნე“. ჯონი ჯანელიძე და მისი „თბილისი“ იყო შუშაკის „დინამოს“ უმასპინძლებს ჯანელიძე „დინამოს“ ცნობილი წურბელაა, მის გაწვრთნულ გუნდებს საქართველოს თერთმეტჯგონ ჩემპიონ ყველაზე ხშირად დაუმარცხებიათ.


მიღად იოლი თამაში არც ქუთაისის „ტორპედოს“ ელის. რიონისპირელები, სეზონის რიხით დამწყებ „მერცხალს“ ესტუმრებიან. ოზურგეთელებმა თავიდან ოთხი ქულა მოაქუჩეს (ოთხივე შინ) და ბევრს იყეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც არ გაუჭირდებოდათ, თუმცა „საგარეო სისუსტემ“ გურულები მეშვიდე ტურს ცხრილში ოდენ ბოლოსწინა ადგილზე შეახვედრა.

გადასხვაფერებული და ჯერაც საკუთარი თამაშის ძიებაში გართული „ლოკომოტივი“ ფოთის „კოლხეთს“ დაუხვდება. რკინიგზელები ამ სეზონში არასტაბილურობით გამოირჩევიან და რამდენად იღბლიანი იქნება მათთვის ფორტელებთან მატჩი, საღამოს ცხრა საათზე გვეკიდინება დას „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“ ყველა სხვა მატჩზე ორი საათით გვიან, 19 საათზე დაიწყება. საინტერესოა ისიც, რომ „ლოკომოტივი“ პირველად ითამაშებს გიორგი ლომაიას გარეშე. მოსკოვის „სპარტაკში“ გადასული მეკარის შემცვლელად რევაზ არველაძეს ყოფილი კოლხი სოსო გრიშკაშვილი შეუვულებია.




ზურაბ სორგულაშვილი

Table with 2 columns: #, გუნდები, დინამო, თბილისი, დილა. Rows include Shikardovi, Batumi, Dilaa, and Dinamo.



პალუკ ულუსოი რეი კლემენსმა გამოლაინდა



დიდი შიშისაღობა


თურქ-ინგლისელები ერთმანეთს ლაჩრობას აბრალებენ

რეი კლემენსი ამტკიცებს, რომ ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩის წინ თურქეთის ნაკრებს ინგლისისა ეშინია — უნდა ვივარაუდოთ, რომ კლემენსის ეს განცხადება არის პასუხი თურქეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის, პალუკ ულუსოის მიერ სვენ გორან ერიკსონის დირსებაზე ამასწინანდელ გასვირებაზე გავიხსენოთ: ერიკსონმა საჯაროდ სთხოვა ინგლისელ ქომაგებს არ გაჰყენონ გუნდს სტამბოლში, „ფენერბაჩეს“ სტადიონზე“ 11 ოქტომბერს დანიშნულ მატჩზე დასასწრებად, რადგან იქ ისინი შესაძლოა მოკლან. ასეთმა ტონმა თურქი დიდმოხელე გააბრაზა და ერიკსონს ჯერ „ეიზელი“ შეასწრა, შემდეგ კი განაცხადა, მაგ შეეძს კაცი მხოლოდ პატაგონიის გუნდს თუ გააწვრთნივენბსო.

„ფიქრობ, ულუსოი შემინებულია და ეს მარტივად ჩანს. ჩვენ ამ ბოლო შეხვედრას იმის ცოდნით უნდა მივუდგეთ, რომ ფრე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიყვანს, ხოლო სტამბოლელთა ყველა კომენტარი მათი შიშის დასტურია“.

გავიხსენოთ, რომ რეი კლემენსი გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც აპრილში, ინგლისისა და თურქეთის ნაკრებთა პირველ შეხვედრაში, ლიდის „ელანდ როუდზე“, გასახდელში იჩხუბა.

პინი ზაპავის დიდი ჯადოსნობები



რომან აბრამოვიჩის ლონდონში მოულოდნელი გამოჩენა პინი ზაპავის დამსახურება ყოფილა

ამასობაში კი ლონდონში სხვა ილუზიონისტიც დადის, რომელმაც ბოლო ორ თვეში ექვსი მილიონი გირვანქა იშოვნა. ამ კაცს პინი ზაპავი ჰქვია და სადღესოდ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან საფეხბურთო აგენტად აღიარებული.

მარჯვენა ხელმა ბირჩმა, აქეთ დაჯარიმებაც კი დაუპირა ზაპავის, აბრამოვიჩის მიყვან-მოყვანის ხარჯები გავიბერია და ამდენი რომ გვახდევინე, ახლა სიყალბეები თავად დაფარეო. ზაპავიმ ეს ბიზნესუნამუსობა დაიმახსოვრა და მალევე შეიქნა აბრამოვიჩის უახლოესი მრჩეველი. კლუბში ყიდვა-გაყიდვები ისე წავიდა, რომ აბრამოვიჩს არაფერი უკითხავს არც ბეიტსისთვის და არც ბირჩისთვის, რომელიც კვლავაც რჩებოდა პასუხისმგებელი შეფის თანამდებობაზე.

პინი ზაპავი ებრაელია და ინგლისური ფეხბურთის ბევრ გამოჩენილ მოღვაწესთან პირადი მეგობრობითაც დაიკვეხნის. მათ შორის ყველაზე ხშირად სერ ალექს ფერგიუსონს ასახელებენ, მაგრამ ამ ზაფხულს პინი ზაპავი უფრო სხვა კლუბის გამო მოექცა მედიის ფურცლებზე.

ამასობაში ჩუქჩების გუბერნატორმა, რომელსაც გულში ამოუჭრია, რომ ისეთი გუნდი შექმნას, რომლის დარიც დედამიწაზე ჯერ არ არსებულა და „ჩელსი“ დიდ წარმოებად, ანუ „მანჩესტერზე“ უკეთეს კომერციულ დაწესებულებად აქციოს, ზაპავის ჰკითხა, ბირჩი კი მსახურობს საკვანძო თანამდებობაზე, მაგრამ მე ისეთი შეფი მწაღია, კლუბს რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარ საწარმოდ აქცევს და ასეთად ვის ხედავო.

დაიხ, სწორედ რომ ზაფხული იყო, როცა „ჩელსის“ პატრონმა კენ ბეიტსმა ოცდაექვსიმილიონგირვანქიანი ვალის აღმოფხვრაზე იწყო ჩალიჩი და თავის პასუხისმგებელ შეფს, ტრევორ ბირჩს მოქმედება მოსთხოვა. ბირჩმა ზაპავის მიმართა, ზაპავიმ კი დიდი საოცრება მოახდინა: კლუბში 250 მილიონგირვანქიანი ინვესტიცია მოიტანა. ამ ინვესტიციას რუსი ოლიგარქი, ჩუქჩების გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი ერქვა.

რა კითხვა უნდაო, მიუგია ზაპავის, ასეთი კაცი გახლავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ პასუხისმგებელი შეფი პიტერ კინიონი, მაგაზე უკეთესი არ მოიძებნებაო. სწორედ ზაპავიმ აყიდინა კინიონს რიო ფერდინანდი და ჯერ შეაძენინა, მერე კი გააყიდინა ზუან სებასტიან ვერონი.

ამ კაცის მოპოვებისთვის ზაპავის კაპიკი არ აუღია. სამაგიეროდ, „ჩელსის“ 13 აბრამოვიჩული ტრანსფერიდან, რამაც ჯამურად 111 მილიონი გირვანქა შეადგინა, არცერთი გამოსულა ამ აგენტის გარეშე და ნახსენები ექვსი მილიონიც აქედან გამოიღნა. აბრამოვიჩის ლონდონის კლუბში გამოჩენისას ზაპავი პონორარს ელოდა კენ ბეიტსისგან, მაგრამ „ჩელსის“ აწ უკვე პენსიონერმა მმართველმა ხელი აბრამოვიჩისკენ გაიშვირა, საკომისიო იმისგან გერგებოდა. ვინც ბეიტსს იცნობს, ეს არ გაუკვირდებოდა, თუმცა ზაპავი აღმოუჩინა და ვინ იცის, რა ჩაიდო გულში. თანაც, ბეიტსის

ცხადია, რომ ზაპავიმ ძალზე მასშტაბური გეგმა გადაუშალა თვალწინ აბრამოვიჩს. კინიონის მოსვლა იმას ნიშნავს, რომ მის ძველ მოწინააღმდეგეს და მოქიშპეს, კენ ბეიტსს არაფერს ჰკითხავს, ბირჩი კი, თუმც კლუბიდან არ წავა, მაგრამ შედარებით უბრალო თანამდებობას დაიჭერს. კინიონის წასვლით კი „მანჩესტერში“ ცხენო-

დაკუბრუნდეთ რეი კლემენსს, ინგლისის ნაკრების მეკარეთა მწვრთნელს, ძველი, დიდი „ლივერპულის“ გოლკიპერს, სწორედ მას, რომელმაც 1979 წელს, თბილისურ თავისხმაში, „დინამოსთვის“ ლეგენდარულ შეხვედრაში სამი გოლი გაუშვა. მან ბრძანა:

ტორიაში ყველაზე მეტად პალუკ ულუსოის განცხადებებმა შეაშფოთა და თურქი ჩინოვნიკის დასჯაზე დაიწყეს საუბარი. ყველაფერი, ალბათ, მომდევნო კვირაში გაიკრევა, როდესაც ნიონში, უფას შტაბ-ბინაში, თათბირზე ორივე ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლები შეიკრიბებიან.

„ფიქრობ, ულუსოი შემინებულია და ეს მარტივად ჩანს. ჩვენ ამ ბოლო შეხვედრას იმის ცოდნით უნდა მივუდგეთ, რომ ფრე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიყვანს, ხოლო სტამბოლელთა ყველა კომენტარი მათი შიშის დასტურია“.

უფას პრესმდივანი, მაიკ ლი: „ჩვენ ორივე ორგანიზაციას დაუკავშირდებით ამ კომენტარებთან დაკავშირებით. ნათქვამი სიტყვები, 11 ოქტომბრის შესარჩევი შეხვედრის წინ სწორ მუშაობაში გვიშლის ხელს. ვფიქრობთ, უბედურებას ორივე ქვეყანა უნდა ერიდებოდეს და ძალისხმევას აერთიანებდნენ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. აქ საქმე მხოლოდ ფეხბურთის აღარ ეხება“.

„ვინც ფიქრობს, რომ სვენი ძლიერი მწვრთნელი არ არის, შექანებულია“ — დასძინა კლემენსმა. შიშზე ალაპარაკდა თურქეთის ეროვნული გუნდის თავკაცი შენოლ გუნეშიც.

გეხსომებათ, რომ თურქეთა და ინგლისელთა ურთიერთობა საგანგებოდ სამი წლის წინ დაიძაბა, როდესაც სტამბოლში, „ლიდს იუნაიტედის“ ორი გულშემატკივარი მოკლეს.

„ინგლისს ჩვენთან ჩამოსვლის ეშინია და ამიტომ გაიძახის, რომ სტამბოლში ქომაგთა არეულობა მოსალოდნელი. იმედი მაქვს, ინგლისელები შიშს სძლევენ და სათამაშოდ გვეწვევიან“ — ბრძანა გიუნეშიმა.

11 ოქტომბრის სანაკრებო შეხვედრის წინ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია უარს ამბობს „ფენერბაჩეს“ 50 ათასიან სტადიონზე ადგილების დაკავებაზე და თანამემამულეებს გამუდმებით მოუწოდებს, სტამბოლში არ ჩავიდნენ.

„ინგლისს ჩვენთან ჩამოსვლის ეშინია და ამიტომ გაიძახის, რომ სტამბოლში ქომაგთა არეულობა მოსალოდნელი. იმედი მაქვს, ინგლისელები შიშს სძლევენ და სათამაშოდ გვეწვევიან“ — ბრძანა გიუნეშიმა.

უფას ბოხები კი მთელ ამ ის-

სნობის ირლანდიელ მანგატა, ვეინი მაკმანუსისა და ჯონ მანიერის გავლენა იზრდება, რომლებიც აქამდეც ამბობდნენ, კლუბის მიხედვად გვწავლია და მარკეტინგის შეცვლაზე გვიფიქრიაო.

წორად ლაპარაკი. ამას ისევე „ჩელსის“ გაღიადებისთვის მოღვაწეობა სჯობია.

კინიონი კი უფრო გავლენის ფრთებს „ჩელსიში“, რადგან „მანჩესტერში“ ჯერ კიდევ მყარია ერთი სახელი, სერ ალექს ფერგიუსონი და შეფს ყოველთვის უჭირდა ამ ყოვლისმომცველ და ჯიუტ კაცთან თანას-

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვინ დაიჯერებს დევიდ ბლეინის ყუთში ნამძვილ ჯდომას, როცა პინი ზაპავი ლონდონში დააბიჯებს და ბევრად უფრო გასაოცარ ამბებს ატრიალებს, ვიდრე ყუთში მშიერად ჯდომას.



დევიდ ბლეინის ფოტოსი პინი ზაპავის ფოტოსებთან რა მოსატანია

ერთმანეთის აპ-ბარბოს და რეალში ლუსიოს და ედმილსონის მეფური სურვილები

ბრაზილიელებს — ედმილსონსა და ლუსიოს — დიდი მეგობრობისა და მშობლიური ნაკრებში თამაშის გარდა თურმე მადრიდის „რეალის“ ფრიადი სიყვარულიც აერთიანებთ. მოგვხსენებთ, კასტილიურ გრანდს ფერნანდო იეროს შემცველი

სჭირდება და ამას წინათ ახალი ცენტრალური მცველის გარშემო ატეხილ ყრია-მულში ამ ორი შევეტუხა ძმაკაცის გვარებმაც გაიყოფო. „რეალში“ მოხვედრაზე მეოცნებე ოკეანისგაღმელებს ესპანური AS-ის ჟურნალისტი გაესაუბრა.

— ლუსიო: შეიძლება გავივიცი, ორი კარგი ბრაზილიელი ზაჭია რონალდო და რობერტო კარლოსი. მათი თამაში ყველაზე მეტად მომწონს და, შესაბამისად, „რეალის“ საუკეთესო მობურთალებაც ვიყავი.

— ედმილსონი: ჩემი რჩეული ფალავანი იქ ორი კი არა, თერთმეტი. წარმოუდგენელია, რომელიმე კლუბმა როდისმე ასეთ ვარსკვლავებს კიდევ მოუყაროს თავი. განსაკუთრებით კი მაინც რობერტო კარლოსს დავასახელებდი. ყოველთვის ერთი და იგივე სტაბილურობა, ერთი და იგივე თავბრუდამხვევი სისწრაფე, ერთი და იგივე დახვეწილი ტექნიკა და არასდროს არც ერთი ტრავმა. ეს ფეხბურთელი კი არა, ფანტასტიკაა, ნაღდი ბუნების სასწაული.

— მითხარით, თუ მადრიდულმა კლუბმა რომელიმე თქვენგანის აყვანა გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა, რას შემატებთ „რეალის“ სიძლიერეს?

— ედმილსონი: რომელიმე ჩვენგანი კი არა, ორივე უნდა ჩაგვრიცხონ სამეფო გუნდში. სადაც მე, იქ ჩემი მეგობარიც (იმედია, ფლორენტიანო პერესის ხალხი ამ ხუმრობას გამოიგებს). ძალიან ძნელია ასე თქმა — „როდესაც „რეალში“ მოხვდები, ამას გავაკეთებ, ამას კიდევ არა“. საერთოდ, დიდ გუნდში მოხვედრა უდიდეს დამაბულობასთან არის დაკავშირებული, თუმცა მე, ღმერთის შემწევობით, იმედს არასოდეს არ დაკარგავ. თუ უფალმა ინება, რომ ედმილსონი ერთ მშვენიერ დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აღმოჩნდეს, ეს ჩემთვის, ისევე როგორც ყველა სხვა ფეხბურთელისთვის, ერთ ალუწერელი სიხარული იქნება.

— ლუსიო: „რეალში“ იგივეს გავაკეთებდი, რასაც ახლა „ლევანტოსში“ — კარგ ფეხბურთს პლუს დაკავშირებული თამაში. როგორც ედმილსონმა თქვა, ახლა ყველას „ბერნაბეუზე“ თამაში უნდა და ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი.

— მადრიდელ ინჩასებს რაღას ეტყობით?

— ლუსიო: იმას, რომ „რეალში“ თამაში ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა.

— ედმილსონი: ზუსტად იგივეს. ლუსიომ ახლა ჩემი სათქმელიც ვითხრათ.

— მოდი, ასე დავიწყეთ. ფლორენტიანო პერესის გუნდს ახალი მცველი სჭირდება, თქვენ კი ამ ადგილზე მოხვედრის „შესაძლო“ კანდიდატები ხართ. რას იტყვით ამის შესახებ?


— ედმილსონი: დღეს ფეხბურთელთა უმრავლესობას მადრიდის „რეალში“ თამაში უნდა. ყოველთვის ასე ხდება — როდესაც „სამეფო გუნდი“ რომელიმე მობურთალით დაინტერესდება, უმაღლესი საფეხური აუიოტაფი ატყდება. მე ახლა „ლიონთან“ 2007 წლამდე მაქვს კონტრაქტი და ჩემს ფრანგულ კლუბზე უფრო ვფიქრობ, ვიდრე ესპანეთში გადასვლაზე. თუმცა ვინ იცის, შესაძლოა, ახლო მომავალში მადრიდელთა ფორმაც მოვირგო.

— ლუსიო: ჩვენთვის სასიამოვნოა, ასეთი გუნდის ყურადღება. მადრიდის „რეალი“, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესოა და, ბუნებრივია, იქ მოხვედრის შესაძლებლობა ძალიან მახარებს. თავის დროზე მქონდა კასტილიელთაგან შემოთავაზებები, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ სიტუაციაში ბოლომდე გარკვევა ვერ მოხერხდა. ახლა ასე ვთქვათ, წარსულის შეცდომებს გავითვალისწინებთ და ალბათ, ყველაფერი უფრო ჰკვიანურად წარიმართება.

— ფერნანდო იეროს რას ფიქრობთ? დაობლდა „სამეფო კლუბის“ დაცვა რკინის კაპიტნის წასვლით?

— ედმილსონი: დიდი ფეხბურთელი დიდად უსამართლოცაა. ფერნანდო იერომ ყველაფერი შესწირა მადრიდის „რეალს“, ბოლოს კი ასე ნაღვლიანად მოუწია გუნდის დატოვება. ის უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდა. რაც შეეხება კასტილიელთა დაცვის სისუსტეს, ყველამ მშვენიერად იცის, რომ ბურთის ართმევაზე თამაში ნახევარდაცვა-თავდასხმაც ვეალებ, მაგრამ რატომღაც ვოხი ყოველთვის უკანა ხაზზე უნდა გადატყდეს. მარტო მცველებზე პასუხისმგებლობის დაკისრება უსამართლობაა.

— ლუსიო: ფერნანდო ჯადოსნური მცველია და „რეალთან“ ერთად მრავალი ტიტულიც მოიპოვა. როდესაც გუნდიდან მსგავსი ფეხბურთელი მიდის, იქ ყოველთვის დიდი სიყვარული რჩება, ეს სივრცე ახალი, შესაფერისი მებრძოლით უნდა შეივსოს. მჯერა, რომ



„რეალი“ მომგებიან ტრანსფერზე იზრუნებს და იეროს საქმესაც დირსეული შემცველი გამოუჩნდება.

— საინტერესოა, მოედანზე ერთმანეთის ძლიერ დი სუსტ მხარეებს როგორ შეაფასებდით. პირველად ედმილსონს ვიხსოვთ, ლუსიოზე თავისი აზრი გამოთქვას.

— ედმილსონი: შესანიშნავად იცის თავისი საქმე, დიდი ფიზიკური ძალისა და გამოცდილების პატრონია. სწორედ ამ ორი ფაქტორის გამო მოედნის ყველა მონაკვეთზე თანაბარი სიჩქარით შეუძლია, იბრძოდეს. საერთოდ, მე ვიტყვი, რომ ლუსიო მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მცველია.

— ლუსიო: ედმილსონი ბრწყინვალე ტექნიკას ფლობს, რაც მან თავისი თამაშით ბევრჯერ დაამტკიცა. გარდა ამისა, მინდორზე ადგილის შერჩევის მისეული, განსაკუთრებული ნიჭიც აქვს. დიდი ფეხბურთელი და მსოფლიოს ერთ-ერთი

ყველაზე სრულყოფილი მცველია.

— სუსტ მხარეებზე რაღას ვიტყვით?

— ლუსიო: თითოეულ ჩვენგანს აქვს სუსტი მხარეები. ხანდახან რომელიმე „უმარტიო“ მატჩისას ხშირად მოიწყენს ხოლმე, მაგრამ რახან ძლიერი ხასიათის პიროვნებაა, საბრძოლო განწყობა მალევე უბრუნდება.

— და ლუსიოს აქილეუსის ქუსლი რაღაა?

— ედმილსონი: ლუსიოს სისუსტეს თითქმის ვერ მოუძებნი. ისეთი მებრძოლია, რომ თავის ძირითად მოვალეობას, საკუთარი საჯარიმოს დაცვას, მეტოქეთა კარის აოხრებასაც კარგად უთავსებს. პო, თუმცა რაღაც ხომ მაინც უნდა გავიხსენო და მოდი, ეს იყოს შენი სუსტი მხარე — ხშირი შეტევებით თავდაფიცება. დამეთანხმებით და, მეც ხშირად ჩამიდენია მსგავსი „ცოდვანი“.

— ლუსიო: ამას სრული პასუ-

არ აუხვანთ პიტბულნი! დავიდსი ვაჭრობს, ნელვადი დარღობს

ტურინის „იუვენტუსის“ ჩეხი ვარსკვლავის პაველ ნედვედის აზრით, „ბებერი ქალბატონის“ თავკაცებმა გუნდიდან არ უნდა გაუშვან პოლანდიელი ედგარ დავიდსი. „ედგარი ბრწყინვალე ფეხბურთელია. იგი ტექნიკითა და დაუღალავი ენერგიით გამოირჩევა. ჩემი აზრით, მისი და ჩვენი ახალწვეულის, სტეფან აპიას ერთად თამაში პრობლემა არ იქნება. როგორც ვიცი, დავიდს დარჩენა უნდა და, დარწმუნებული ვარ, რომ მხარეები საბოლოო შეთანხმებას მიაღწევენ“ — განაცხადა ნედვედმა.

მოქმედი კონტრაქტით დავიდსი ბოლო სეზონს ატარებს „დელე ალპიზე“, რის შემდეგაც იგი თავისუ-

ფალი აგენტი გახდება, ამიტომ „იუვენტუსმა“ სასწრაფოდ უნდა გააფორმოს მასთან ახალი შეთანხმება, ან იანვარში სხვა კლუბს მიჰყიდოს.


ამ ვითარებით დავიდსის სარგებლობს და მისი მსურველებიც პოლანდიელის შექმნა ლონდონის „ჩელსის“ უნდოდა, მაგრამ მხოლოდ 7 მილიონ გირვანქად, რაზეც იტალიელები არ დათანხმდნენ. თავად ნახევარმცველმა კი იცის, რომ „იუვენს“ ეჩქარება და მაქსიმალურად მაღალ ხელფასს და თავისთვის მისაღებ პირობებს ითხოვს.

„პიტბულის“ აგენტ რობერტ ჯორდინის თქმით, დავიდს ძალიან უნდა კარიერის ტურინში დამთავ-

რება და „დელე ალპიზე“ დარჩება კიდევ თუ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში დაახლოებით 2,5 მილიონ ევროს მიიღებს.

მართალია, „იუვენტუსი“ ჯერჯერობით თავს იკავებს, მაგრამ ვინმე ტურინელებს მაინც მოუწიოთ დავიდსის პირობებზე დათანხმება, რადგან იანვარში პოლანდიელის მსურველი კლუბები კვლავ გააქტიურდებიან და 30 წლის ნახევარმცველში დიდ თანხას არ გადაიხდიან. მომავალ ზაფხულს კი დავიდსი სულაც თავისუფალი აგენტი გახდება და „ბებერი ქალბატონი“ ერთ ევროსაც ვერ მიიღებს.

ზიორბი ბაბაბაძე



ედგარ დავიდსი

Table with columns for time, number, and performance metrics. Includes entries like 19.00 384 ტრელებორგი-ატვიდაბურგი, 19.00 385 ფრიოლუნდა-ბოდენი, 20.00 386 ნორჩიოპინე-ასირისა, etc.

Table with columns for time, number, and performance metrics. Includes entries like 20.00 475 კოკოვი-იბლონევი, 19.40 476 სლოვა-ბანი, 13.30 480 პეტრუალა-ტრენინი, etc.

Table with columns for time, number, and performance metrics. Includes entries like 01.00 578 კონსუპიონა-აუდაქსი, 01.00 580 რინევი-კოლო კოლო, 01.00 582 კობრელო-ტეპეკო, etc.

მსოფლიოს ჩემპიონატი
ოსკა, იაპონია. 11 - 14 სექტემბერი



REUTERS ოსაკადან

ზურაბ ზვიადურისა და ხვანჭიანი (თეთრ კიმონოში) ბოლოს მაინც კორეელმა იხალა

ზურაბ ზვიადურის: ისევ პერსონალი და ათენის ოლიმპიადა

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე ქართველთათვის პირველი მედლისა და თავისთავად ოლიმპიური ლიცენზიის მომტანი გამოდგა. 90 კილოგრამში ზურაბ ზვიადურმა მწვრთნელის, შოთა ხაბარელის იმედები გაამართლა და გადაჭედდა „ოსაკა-ჯო ჰოლს“ ლამაზი ჭიდაობა აჩვენა. ქართველმა მეორე წრიდან დაიწყო და ჩილეელი გაბრიელ ლამა და სერბეთ-ჩერნიგორიელი ალექსანდრ ბორდერი იპონით დაამწუხრა. შემდეგ, მეოთხედფინალში ჯგუფიდან ასევე ორი სუფთა გამარჯვებით გასულ ისლანდიელ ბიარნი სკულასონს დაუპირისპირდა, ისიც დროზე ადრე გააკრა ხალიჩას და ოლიმპიური ლიცენზიაც გაინაღდა, თუმცა მთავარი უკვე მედალი იყო. ქართველს ვერც კანადელმა კეიტ მორგანმა გაუწია რიგინი წინააღმდეგობა. მორიგი იპონი და ფინალის საგზური. ოქროსთვის ზვიადური კორეელ ხვანჭიანს შეხვდა და დიდი უპირატესობით უგებდა, მაგრამ ბოლოსკენ მეტოქის ილეთი გაეპარა და დამარცხდა.

გლო. მსაჯებმა მხოლოდ ვაზარი მიაკუთვნეს. მე ვთვლი, რომ ზურაბმა მეორედაც სუფთა ვდება შეასრულა, მაგრამ მსაჯებმა ქულაც არ მისცეს. წუთნახევარიც აღარ რჩებოდა, ვაზარით და კოკათი იგებდა. ერთ ეპიზოდში მოეჩვენა, ვითომ მსაჯმა გაშველებს ნიშანი მისცა და სწორედ ამ დროს შებოჭა მეტოქემ. დასანანი მარცხია. ოქროს თითქოს ჯიბიდან ამოგვაცალეს...

უშედეგოდ დაასრულა ჩემპიონატი გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ). პირველივე შეხვედრაში ესპანელ რიკარდო ეხარტესთან ვერაფერი გააწყო და იპონით დამარცხდა. ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარი მიიღია და ჩვენს ყულაბაში მხოლოდ ერთი მედალი და ლიცენზია, თუმცა იმედია, დარჩენილი ორი დღე უკეთესი გამოდგება. დღეს თავისი შანსის გამოყენებას ვეროპის ვიცე-ჩემპიონი დავით მარგოშვილი (66კგ) და დავით ქვიციანი (73კგ) შეეცდებიან.

ოთარ მალაქაძე იმეო ზურაბ ტაბატაძე

პაციენტი	
81კგ	
1. ფლორიან ვანერი (გერმანია)	
2. სერგეი აშვანდინი (შვეიცარია)	
3. რობერტ კრაფიკი (პოლონეთი)	
3. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი)	
90კგ	
1. ხვანჭიანი (კორეა)	
2. ზურაბ ზვიადური (საქართველო)	
3. კარლოს ონორატო (ბრაზილია)	
3. სერგეი კუხარენკო (ბელარუსი)	

ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის სატელეფონო კომენტარი:
— ზვიადურმა მართლაც ჩინებულად იჭიდავა. უნდა ითქვას, რომ წილისყრამაც გაუმართლა, ძლიერ იაპონელ, კოლანდიელ და ბრაზილიელ მეტოქეებსაც ასცდა და ფინალშიც ისეთი მეტოქე შეხვდა, რომელსაც დღემდე დიდი ვერაფერი შედეგები ჰქონდა. ზურაბმა ფინალური ორთაბრძოლა რისიკანად დაიწყო. მაშინვე ფეხით იტაცა კორეელი და სუფთად და-

პიიინ?! საქართველო?! ხურობი?!

უღვრელი მოგვიყვანა და... ნირვა გამოგვიყვანა

მსოფლიოს თასის სადებიუტო მატჩს საქართველოს ნაკრები თასის უპირველეს ფავორიტ ინგლისთან გამართავს. ინგლისელი „ვარდების“ მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა 30-კაციანი რაზმით უკვე დაასახელა და ახლა ბიჭებს ასვენებს. ბლოკნოტებში თავჩარგულ და ათასნაირ ტაქტიკურ სექცებზე მოფიქრალ „ვარდნარის“ მებრძოლს „ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა ეს მცირე ინტერვიუ დასტყუა




— კმაყოფილი ხართ სელექციით?
— უკმაყოფილო მაშინ ვიქნებოდი, ჯონი უილკინსონი, ჯეისონ რობინსონი, ლოურენს დალალი და ბენ კოენი რომ დამტყვევულიყვნენ. საბედნიეროდ, ისინი ჯანზე არიან და მეც მათზე ავაწყო გუნდის თამაშს.
— სხვები? დენ ლუგერს ან ჯეისონ ლინარდს რომ ვერ შესძლებოდათ ავსტრალიაში წასვლა, პრობლემები არ შეგექმნებოდათ?
— როგორ არა, მაგრამ მე ხერ-

ხემალი ვითხარით და მათგან ერთის არყოფნაც კი პრობლემებს შეგვიქმნიდა.
— ვისთან, საქართველოსთან და ურუგვაისთან?
— ხუმრობის ხასიათზე ხართ? იცით რა... საქართველო მზარდი გუნდია, მაგრამ ჩვენთან მისხალი მანსი არა აქვს, ასევე ურუგვაის. სამოასთან კარგი სპარინგი გამოვივა, სამხრეთ აფრიკასთან კი ომი გვექნება.
— ჯგუფში პირველი ადგილი გარანტირებული გაქვთ?

ჯ რიგაპროი ტ

დღეს ლილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ქალთა საერთაშორისო ტურნირი იწყება. 25 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდის „CARTU BANK OPEN“ 1996 წლიდან ტარდება და წლეულს მეშვიდედ უყრის თავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ჩოგბურთელებს. ეს ტურნირი ჯერ არც ერთ ქართველს არ მოუგია. ყველაზე ახლოს მიზანთან შარშან მაკა ჩახნაშვილი იყო, თუმცა ნახევარფინალიდან ვეღარ გააღწია. წლეულს მის გარდა ძირითად ბადეში ორი ქართველია განთესილი, დღეს და ხვალ კი საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებში კიდევ სამი ჩვენებური ჩაერთვება. ტურნირის თაობაზე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლილა მესხს ვესაუბრეთ



ჩვენი ქალები ჩვენთან


— რამდენი ქვეყნიდან ელით სტუმრებს? ვინ იქნება პირველ ნომრად განთესილი?
— ბოლო მონაცემებით, თბილისში ჩამოსვლას 17 ქვეყნის ჩოგბურთელები აპირებენ. პირველი ნომერი კი, სავარაუდოდ, მსოფლიო კლასიფიკაციაში 123-ე ადგილზე მყოფი ბელარუსი ოლგა ბარაბანოვიკა იქნება.
— ვაუთა ასეთსავე ტრადიციულ საერთაშორისო თბილისურ ტურნირს ამ ცოტა ხნის წინ სპონსორი შეეცვალა და „ჯეოსელის“ ნაცვლად „ბორჯომის თასი“ მივიღეთ. ქალთა პირველობასაც ხომ არ დაბუქებია მსგავსი საშიშროება?
— „ქართუ ბანკის ქალთა ღია პირველობა“ მეშვიდე წელია, ტარდება და ამ ხნის განმავლობაში მან უკვე მოასწრო ვეროპაში თავისი წილი ავტორიტეტის ავტორიტეტის მოპოვება. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და არც მომავალში ემუქრება ამის საფრთხე.
— შარშან განაცხადეთ, გაისად ქალთა ღია პირველობას ახალი

საჩოგბურთო კომპლექსი უმასპინძლებდა...
— ძალიან გვსურდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ ამ კომპლექსისთვის გამოყოფილი ტერიტორია კიდევ უფრო გაიზარდა და ამიტომ სამუშაოებიც ვეღარ მოეწყო. ტურნირი წლეულსაც ტრადიციულ ადგილზე ჩატარდება, მომავალი წლიდან კი, იმედია, ახალ კომპლექსში გადაინაცვლებს.
— ხომ არ ყოფილა საუბარი საპრიზო ფონდის გაზრდაზე?
— 25-ათასიანი საპრიზო ფონდი უკვე ტრადიციად იქცა და მისი გაზრდის სურვილი არც გამოგვითქვამს. ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს სრულიად საკმარისია.
— რამდენი ქართველი მიიღებს ტურნირში მონაწილეობას?
— მაკა ჩახნაშვილი, ნანა უროტაძე და სოფო მელიქიშვილი ძირითად ბადეში არიან განთესილი. საკვალიფიკაციო ეტაპიდან კი ტურნირს ასევე სამი ქართველი დაიწყებს — თათია მიქაძე, ია ვიქია და თამაზ ზედგინიძე, თუმცა შეიძლება მასპინძელთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს.
— ქართუ ბანკის პირველობის შემდეგ ბათუმში გადაინაცვლებს?
— თბილისის ტურნირი 20 სექტემბრამდე გაგრძელდება, მეორე დღიდან კი ბათუმის 75-ათასიანი ტურნირი იწყება, რომელიც ასევე მეშვიდე წელია, ტარდება. საპრიზო ფონდიდანაც ჩანს, რომ იქ გაცილებით ძლიერი ჩოგბურთელები მოიყრიან თავს.
— შარშან საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა თბილისში ნახევარფინალამდე მიაღწია. როგორ ფორმაშია იგი წლეულს?
— შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მაკასთვის წინა სეზონი უკეთესი იყო. ამას ბულგარეთის 25-ათასიანი ტურნირის მოგებაც ადასტურებს. წლეულს კი მცირე ჩაუარდა ჰქონდა, რომელიც, მგონი, უკვე გადალახა და იმედია, ამჯერად მაინც გაიმარჯვებს. რაც შეეხება მის მიერ მოგებულ სოფის ტურნირს, წლეულს იგი ქართუ ბანკის ღია პირველობას დაემთხვა და უპირატესობა, რა თქმა უნდა, თბილისის მივიანიჭეთ.

ოთარ მალაქაძე

საფეხრო ბარათი

WBC/WBA-ს ვერსიები მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ დე ლა პოია დღეს შეინ მობლისგან თავისი ტიტულის დაცვას ეცდება. ოსკარს უთქვამს, თუ დაგმარცხდის, შეიძლება სულაც წაყიდოს. მობლის ეს ამბავი ხელზე დაუხვევია და გუშინდელ პრესკონფერენციაზე მას ამერიკელ პენსიონერთა ასოციაციის საწევრო ბარათი მოუტანა — ბარათზე სწორედ 13 სექტემბერია მითითებული. ბრძოლა ღას ვეგასურ ემჯიემ გრანდ ვარდენ არენაში შედგება.



გერმანიის ვიდეოცენტრი

REUTERS პრესფოტოგრაფი



REUTERS ლან 308 ანოვან



შპანჯბარკაშოსნობა

პოლანდიელი მაინტიე (მარცხნივ) გერმანელი კლეკერისთვის ყვანჯით ბურთის წართმევას ღამობს, რათა მერე წა დააწინაუროს თავისი ნაყრები. ამბავი ბარსელონაში ხდება, სადაც ახლა ევროპის ერთა თასი მიდის. ის მატჩი კი სწორედ წა დასრულდა.



REUTERS მიანგოვან

სუთი ფოლარით მებთი



სულ ცოტაც და ავსტრალიაში სარავბო მსოფლიო პირველობა გაჩაღდება. საამპირველობოდ იქაურმა ზარაფხანამ 5-დოლარიანი მონეტა მოჭრა. ივარაუდება, რომ მონეტაზე გამოხატულ ჯარიმრტყმელი ინგლისელთა ფეხნუბინი ჯონი უილკინსონი უნდა იყოს.

მტვრის ულაიფი

სირია მეოთხე საერთაშორისო რაღის მასპინძლობს. 5-ეტაპა რაღიში, რაიც იქაურ უდაბნოში ვასავლეღ მწმ კილომეტრს მოიცავს, 33 ვუნდი ჩაბმულა. ფოტოზე ყატარელ ნასერ ალ-ატაის ხედავთ, რომელიც თავის „სუბარუ იმპრესას“ ზედ პირველი სტარტის წინ იმგვარად ახურებს, რომ უკან მტვრის ზორბა შლეიფი აჰყიდებია.



REUTERS ფამანკოვან

ზუბიკალო

იტალიურ მონცა ამ კვირას ფორმულა ერთის მორიგ ეტაპს მიიღებს. წინა ეტაპებზე ჩაფლავებული ფერარელები — მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი (მარჯვნივ) და რუბენს ბარიკელი „მშობლიურ“ ტრასაზე წარმატებას ვეგმევენ. მათმა ამგვარმა წინასარბოლო დღაბუცმა მეტოქეები უნდა დაარწმუნოს, რომ თავიანთ წარმატებაში მათ ფიორა ეჭვიც არ ეპარებათ.

სარბიელი
საორტული გაზაბთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოცემის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოცხვერია
ლირეტორი ბიორგი ოქროშქაღლიმა
რედაქტორი თამაზ მიგრიანული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუაღაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაპუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, პატიკი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევანო, ფატი დვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტრიაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საშოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საშოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა: sarbiell@gol.ge
ელექტრონული ვერსია: <http://www.sarbiell.com.ge>